თითოეული ნომერი ჟურნალისა ყველგან 10 კ.




№ 25.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 24 აგვისტო.



**ლადო ალნიაშვილი**
(გვერდით დ:ჲ მისი)
მისი გარდაც. 10 წ. შესრ· გამო

## № 25

## შინაარსი:


1. კეთილსინდისიერება, მეთაური. 1
2. ჩვენი თეატრი გადასაკეთებელია, თავისუფალი მეთვალყურისა. 2
3. ლადო ალნიაშვილი, ალ. მირიანაშვილისა „
4. მოხუცი მნათე, დიას ჩაჩნელისა 4
5. სიმახინჯე, როგორც სახე მე-XIX-ე საუკ. ქართველისა დღევანდლამდე, ვახ. კოტეტიშვილისა 6
6. სატრფოს, ი. სიხარულიძისა 8
7. ცხოვრება, პიესა სამ მოქ., ს. გლახაშვილისა 9
8. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, ალ. წერეთლისა 12
9. საჭირობა დრ. საზ. ბაქოში, ს. ქ-ძისა „
10. გვრიტი, ვანო სააკაშვილისა 14
11. ქართული სახალხო სახლის ისტორია, გ. ჯაბაურისა „
12. სახალხო სახლი ქიათურაში, ნ. ჯიხაიშვილისა 15
13. წვრილი ამბები „
14. სურათები, შარჟი, განცხადებანი.



**თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს,** რომ მას განზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით

**სამეცადინო პრაქტიკული სტუდია**

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვსთ, ჩაეწერნენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე. **სწავლა უფასო იქნება.** პირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე.

წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში.

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა *ივანე მაჩაბლის* თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაღედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

**წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში.** ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

**გამომცემელი ქნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**

# თეატრი და ცხოვრება

№ 25

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპან“-ს სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., სარამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9, სტამბისა — 15-41.

№ 25 კვირა 24 აგვისტო 1914 წ.


## 24 აგვისტო

**კეთილ-სინდისიერება**

ყოველგვარი საქმის—განსაკუთრებით საზოგადოებრივი საქმის—მთავარი მამოძრავებელი ძალა კეთილსინდისიერებაა, ის თვისება, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს ყოველი საზოგადო საქმის სათავეში მდგომი და მისი თანამსახური. თუ კეთილსინდისიერებით, მოვალეობის მტკიცე შეგნებით არა ხარ გამსჭვალული და საქმის ნამდვილი სიყვარულით გამთბარი - ვერაფერს გააკეთებ.

ხვალ შეიკრიბებიან ჩვენის სცენის ქურუმნი და მათი მესვეურნი მომავალ სეზონის მუშაობის დასაწყებად.

კარგი დასაწყისი უკეთესი მომავალის თავდებია, მკვიდრი საძირკველი—საიმედო შენობის გვირგვინი,—აი რა უნდა შეიგნონ მათ. არც ერთი საქმე არაა ისეთი ცოცხალი, არც ერთი საქმე არ ითხოვს ყურადღების მუდმივობას, შეუჩერებელ საქმიანობას ისე, როგორც სცენა. სწორედ ეს უნდა იქონიონ მხედველობაში ჩვენის სცენის მესვეურ-მსახურთ და თვისი ძალღონე მას შეუწონონ.

წელს ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ გაბედული ნაბიჯი გადასდგა.- ბევრი ახალგაზდა მოიწვია დასში და თითოეული მათგანი მსახიობის სახელ-ნდობით აღჭურვა, მაგრამ ეს არა კმარა: სწორედ ამ დღიდან ჰმართებთ ახალგაზდა მსახიობთ შრომის გაორკეცება, კეთილსინდისიერი მუყაითობა, რომ საზოგადოების ნდობა-იმედი გაამართლონ.

სიყვარული სამშობლო სცენისა, მოწიწებითი პატივისცემა ხელოვნებისა,—აი რა უნდა აფრთოვანებდეს გულსა მათსა და რწმენას განუმტკიცებდეს...

წელს გამგეობამ ახალგაზდა რეჟისორთ მიანდო ფრიად საპასუხსაგებო საქმე—**ახალი თეატრის** შემქნა **ნორჩის ძალებით**: ამ ახალმა რეჟისორებმა უნდა შემოიტანონ ახალი რამ, წარმოსთქვან ახალი სიტყვა ხელოვნებისა,—მაგრამ **მინდობილება** როდი კმარა,—საჭიროა მისი კეთილსინდისიერად **განხორციელება!..**

გამგეობამ მოიწვია დასი, ამით ფორმალურად ვალი მოიხადა მაგრამ მარტო ეს არ უშველის საქმეს: სწორედ დასის მოწვევის შემდეგ საჭიროებს სამშობლო სცენა მათს სიფხიზლეს, სიბეჯითეს, ყოველის მხრით ხელის შეწყობასა და არა მხოლოდ სახელით გამგეობის წევრად ყოფნას: წელს ჰმართებთ განსაკუთრებითი უნარის გამოჩენა, რომ საზოგადოება შინაარსიანის და დროის შესაფერი რეპერტუარით მიმსჭვალო თეატრზე და სულიერი მოთხოვნილება დაუკმაყოფილონ...

და თუ ყოველი მათგანი—მსახიობი, რეჟისორი, გამგეობის წევრი, მოკარნახე, სცენარიუსი, დეკორატორი და უთვალჩინო მუშა სცენისა—მართლა და კეთილსინდისიერად მოეპყრობა ნაკისრ მოვალეობას,—ჩვენის თეატრის წინსვლას ვერა რა დააბრკოლებს!..

ამ რწმენით მივესალმებით საზამთრო სეზონის დასაწყებად შეკრებილ მსახიობთა და მათ მესვეურთ.

# ჩვენი თეატრი გადასაკეთებელია

როგორც წინა წერილში ვსთქვით (იხ. „თ. და ც." № 7), ჩვენი თეატრის გადაკეთება აუცილებლად საჭიროა. ამას ის გარემოება მოითხოვს, რომ იგი უცნაურ გეგმაზედ არის აშენებული, რაღაც თეატრისებურად მოწყობილს „ფარლალალა" დარბაზსა ჰგავს, რის გამო ბევრი ადგილი გამოუყენებელი რჩება და ამ მიზეზით ადგილების სიცოტავე ხშირად ბევრს მსურველს უკან აბრუნებს. ეს ეხლაა, და თუ ჩვენი თეატრის მოთხოვნილების თანდათან ზრდას მივხედეთ, შემდეგში იგი (თეატრი) თეატრში მოსიარულე საზოგადოებისათვის უფრო პატარა შეიქმნება. ხოლო სხვა, ახალი, ყოველ მხრივ მოწყობილი და საკმარისი თეატრის აშენების იმედი კი შორს მომავალშიაც არ შეიძლება ვიქონიოთ. მაშ ისევ სჯობია მოხერხდეს ეს ეხლანდელი დარბაზი ადგილებით შევავსოთ და ნამდვილ თეატრად გადავაქციოთ იმდენად, რამდენათაც ამას თვითონ შენობა აიტანს. ეს თუ შევასრულეთ, თეატრიც თეატრს დაემსგავსება და ადგილების რავდენობითაც კარგა ხანს შეიძლებს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

უმთავრესი მოსახდენი ცვლილება შემდეგია: ბენუარს ზევით ეხლანდელი ორის მაგიერ ოთხი იარუსი უნდა გაკეთდეს, ბოლო სართულში ლოჟები საკუთრად იმ საზოგადოებისთვის მოეწყოს, „ლოჟების საზოგადოებას" რომ ეძახიან და მეზობლებიც რომ თავისი მსგავსი ესურვება. შემდეგ ორ იარუსში კუპონები და ლოჟები გაკეთდეს, როგორც ეს სახაზინო თეატრშია. ზევითი მეოთხე ხომ გალერეადვე დარჩება. ორ ახალ მიმატებულ იარუსში დაეტევა 28 ლოჟა 112 ადგილით და კუპონები 200 ადგილით. პარტერი ბოძებიდან რომ აიმართოს (ამფიტეატრად) ორი რიგი სელი მიემატება 40 ადგილით. (ბოძები, რასაკვირველია, თქმა უნდა, მოსასპობია). პარტერის სავარძლები იმდენად უნდა დავიწროვდეს, რამდენადაც ადამიანის შიგ ჯდომისთვის არის საკმარისი, და ამ დავიწროებით ოთხს თუ ხუთად ვერა, ხუთს მაინც ექვსად ვაქცევთ და ამით პარტერს 50 ადგილი მაინც შეემატება. ასეთი გადაკეთებით თეატრს მიემატება 300—350 ადგილი მაინცა.

ამისთანა ცვლილებით იმას გარდა, რომ თეატრი მართლა თეატრს დაემსგავსება, ის ღირსებაც მიეცემა, რომ მოქირავნეს შემოსავალს მიუმატებს და პატრონს კიდევ უფლებას მისცემს მეტი ქირა მოითხოვოს; ამ წამატებული ქირით კი ზედ დახარჯული ხუთექვს წელიწადში შეიძლება სარგებლიანად ანაზღაურდეს.

ახლა ის არის სათქმელი—ამ გადაკეთების ხარჯი ვინ იკისროს? ამაზე მომავალ ნომერში.

**თავისუფალი მეთვალყურე**

# ლადო აღნიაშვილი

მისის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო
1904—1914.
(მოგონებიდან)

I

მარტის დამლევს 1881 წ. ჯერ ისევ თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის პანსიონში ვცხოვრობდი და ამხანაგებთან ერთად მომავალ უკანასკნელ ეგზამენებზე ვფიქრობდი. ერთ დღეს სათავადაზნაურო სკოლიდან (ახლანდელი გიმნაზია) შემატყობინეს—ინსპექტორი გიბარებსო. მაშინ სკოლა იმყოფებოდა ჩუღურეთში, თაქთაქიშვილის სახლში, და ინსპექტორად, ანუ სკოლის გამგედ, ნიკო ლომოური იყო. „ალისა" და „ქაჯანას" წყალობით ნიკოს უკვე ვიცნობდი, მხოლოდ ნახვით-კი ჯერ არ მენახა. დანიშნულს ვადაზე მივედი სკოლაში და გულის ფანცქალით ვიკითხე ინსპექტორი: დაბარების მიზანს მიხვედრილი ვიყავ. ავედი მეორე სართულში გაიღო კარი და ნიკო გამოვიდა თავის ბინიდან.

— მირიანაშვილი ხართ? მკითხა ღიმილით ნიკომ.

— დიაღ, მივუგე მე.

— მაშ შევიდეთ ოთახში და იქ ვისაუბროთ.

ნიკომ შემიყვანა თავის კაბინეტში, მომიდგა სკამი და მთხოვა დაჯდომა.

— თქვენი სახელი? მკითხა კიდევ ნიკომ.

— ალექსი.

— ბატონო ალექსი, მე მინდა მოგიწვიოთ ჩვენი სკოლის მასწავლებლად და, იმედია, უარს არ იტყვი. ჩვენი სკოლა ნამდვილი ქართული ეროვნული დაწესებულებაა. ჩვენ აქ ვუმზადებთ სამშობლოს ერთგულ, შეგნებულ შვილებს, მომავალ მოღვაწეებს და გულ-შემატკივრებს. ამიტომ ყოველი ჩვენთაგანი მოვალეა ემსახუროს ამ წმინდა ეროვნულ საქმეს. თუ თანახმა იქნებით, გადავსცემ ჩვენს კომიტეტს და მომავალი ივლისის პირველიდან ჩაირიცხებით მასწავლებლად მხოლოდ ეს-კია — თქვენ დაგჭირდებათ სანიმუშო გაკვეთილის მიცემა კომიტეტის წევრების თანადასწრებით.

ყველა ამ სიტყვებით, სახის გამომეტყველებით, ალერსიანი კილოთი, ტკბილის ქართულის ენით ნიკო ლომოურმა ისეთი მძლავრი, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მთლად მომაჯადოვა: მე მზად ვიყავ იმ წამიდანვე იქ დავრჩენილიყავ და პანსიონში აღარ დავბრუნებულიყავ.

რასაკვირველია, მე თანხმობა გამოვაცხადე. დანიშნეს სანიმუშო გაკვეთილის მიცემის დღე. გამოვცხადდი ვადაზე და ჯერ ისევ შეგირდის სახელმწიფო ნაცრის ფერ ბლუზაში გამოწყობილი შევედი კლასში. შემომყვნენ კომიტეტის წევრი ნიკო ცხვედაძე (იაკობ გოგებაშვილი უქეიფობის გამო არ მოსულიყო) და ინსპექტორი ნიკო ლომოური. გავათავე გაკვეთილი. ცხვედაძე და ლომოური შევიდნენ ცალკე ოთახში მოსალაპარაკებლად. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ერთად გამოვიდნენ და ჩემთვის სასარგებლო განაჩენი გამოიტანეს. ნიკო ცხვედაძემ მხარზე ხელი დამადო და ღიმილით მითხრა: — დღეიდან ჩვენი მასწავლებელი ხარ; პირველ ივლისიდან სამსახური ჩაგეთვლება.

მიამა, რასაკვირელია, ცხვედაძის სიტყვები. მხოლოდ მას აქვე გამოვუცხადე ერთი დაბრკოლება, რომელიც შე წინ მეღობებოდა და ნებას არ მაძლევდა სათავად-აზნაური სკოლაში მასწავლებლად შევსულიყავ: მე აღვიზარდე სახელმწიფო ხარჯზე და, როგორც სახელმწიფო მოწაფე, კანონის ძალით ვალდებული ვიყავ ექვსი წელიწადი უეჭველად სახელმწიფო სამსახურში ვყოფილიყავ. ნ. ცხედაძემ აღმითქვა კავკასიის ოლქის მზრუველის წინაშე შუამდგომლობა სავალდებულო სამსახურის თავიდან ასაცილებლად. შუამდგომლობამ გასჭრა, მხოლოდ სახელმწიფო სამსახურზედ უარის თქმის გამო დამაკისრეს 900 მან. გარდახდა ხაზინის სასარგებლოდ ჩემზე დახარჯული ფულის აღსადგენად. ეს ფული უნდა დაექირათ ჩემ მომავალ ჯამაგირიდან წვრილ-წვრილად.

იმ ფიქრმა, რომ მე მომელის ქართველ საზოგადოებაში დატრიალება, ქართულ სკოლაში სამსახური და მერე ისიც ნიკო ლომოურის ხელმძღვანელობით, ადვილად გამაბედინა ამოდენა ვალის კისრობა.



ლადო აღნიაშვილი და მისი და

## II

აგვისტოს ოცში დავბრუნდი კახეთიდან და უკვე მასწავლებლის ხარისხით აღჭურვილი გამოვცხადდი ახალ სამსახურში. ზაფხულის განმავლობაში სკოლა გადაეტანათ ჩუღურეთიდან სოლოლაკში, პასკევიჩის ქუჩაზე ბაისოლოლოვის სახლში. მისვლისთანავე ნიკო ლომოური მომეგება სწორედ ნათესაურის და არა უფროსის გამომეტყველებით და თავის დამატკბობელის სიტყვებით მიმიწვია თავის მაგიდისკენ, რომლის მახლობლად შევნიშნე სრულიად ახალგაზდა, მეტად მიმზიდველი სახის უცნობი პირი.

— გთხოვთ გაიცნოთ ეს ყმაწვილი; ესეც ჩვენი ახალი მასწავლებელია, — მითხრა მე ლომოურმა და მიმიყვანა იმ უცნობთან.

უცნობი აღმოჩნდა ლადო ალნიაშვილი, რომელსაც იმავე გაზაფხულზე დაემთავრებინა კურსი გორის საოსტატო სემინარიისა და რომელიც ზაფხულისავე განმავლობაში აგრეთვე მოეწვიათ მასწავლებლად. ხნითაც და სამსახურითაც ამგვარად მე და ალნიაშვილი ტოლები აღმოვჩნდით. რამდენიმე წლით ჩვენზე წინად მასწავლებლადვე მიწვეული იყო განსვენებული რაჟდენ ჯაჯანაშვილი. მალე ეს რაჟდენიც გავიცანით. პირველს ნახვაშივე ალნიაშვილმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: სასიამოვნო გარეგნობა, მეტად მშვიდი, წყნარი და სოფლის ძველებურ პატარძალივით მორცხვი ხასიათი, კაი ქართულით საუბარი — ყველა ეს თვისებანი მეტად ხელს უწყობდნენ ლადოს, რომ ნაცნობთა შორის მსწრაფლ აღეძრა მასთან დაახლოვების და დამეგობრობის სურვილი. აკი ასეც მოხდა: მის სიკვდილის ჟამამდე ჩვენი ძმური და მეგობრული განწყობილება არ დარღვეულა.

**ალ. მირიანაშვილი**

(გაგრძელება შემდეგ)

# მოხუცი მნათე

რუსულ მაზარა წამოსხმული, წელში მოხრილი გამოვიდა სენაკიდან გოგია ანაკიძე, სოფლის ეკლესიის მნათე და დაღვრემილმა თვალი მოავლო არე-მარეს.

შეჩერდა. ხელის ძაგძაგით ფარაჯის კალთა თვალებთან მიიტანა, ცრემლი მოიწმინდა...

— მადლობა ღმერთს! სლოკინით წარმოსთქვა და სამრეკლოს მიაშტერდა; მერე ცაცხვის ძირას ქვაზე ჩამოჯდა. ფიქრში წავიდა ..



— ამდენ უბედურებასთან მარჯვენაც გამიხმა, მარჯვენაც... რაღა ვქნა აწ?! შუბლი. დაეღარა... მართლაც ეს ერთი კვირაა, რაც საბრალოს „დამბლა“ დაეცა და მარჯვენა ხელი მოსტაცა, ის მარჯვენა ხელი, რომელიც მისთვის ყველაფერი იყო... რაღა ქნას ახლა? რით დარეკოს ზარი, რით აუდგას ენა უსიტყვო ლითონს, რომელიც გოგიას ხელში მეტყველებდა?! რით? არა, ის უვარგისი შეიქმნა ამ ხელობისთვის და სოფელმაც უკვე ახალი ჯან-საღი დარაჯი დაიქირავა... უნდა მიატოვოს გოგიამ ეკლესიის სენაკი, რომელშიც ოცდა ათი წელი გაუტარებია, უნდა მიატოვოს საყვარელი სამრეკლო, რომელზედაც დღეში სამჯერ მაინც ასულა .. მერე სად წავიდეს... სად? ვისთან მივიდეს?!

გაახსენდა ერთად-ერთი ვაჟი, რომელიც ამ ცხრა წლის წინად მოსტაცეს და ბორკილებ-შეყრილი ცივ ქვეყნისკენ გაისტუმრეს... გაახსენდა და ცრემლის ნაკადული თვალებიდან გადმოსკდა...

— სად ხარ, ჩემო დამტირებელო შვილო, ჩემო ნინიკა! ამოიგმინა მოხუცმა... რვა წელიწადია შენი ხმა არ გამიგონია... რვა... მაგრამ.. უცებ მოხუცი შეკრთა, რაღაც მოაგონდა, ცრემლიანი თვალები გაუბრწყინდა, სამრეკლოზე დიდ ზარს მიაშტერდა... მიაშტერდა და სახეზე ნათელი გადაეკრა, ტუჩებმა ნელა თრთოლა დაუწყეს — შეკრული შუბლი გაეხსნა. .

— ჰო, მაშინ, მაშინ.. და დიდ ზარს ღიმილით შეხედა..—ჩემო, ჩემო! და სამრეკლოსკენ ხელი გაიშვირა..

მას გაახსენდა ის ნეტარი დრო, როცა ბედნიერი, ჯანსაღი, სიხარულით აღსავსე სამრეკლოზე ავიდოდა ხოლმე და დიდ ზარს ააგუგუნებდა ხალხის მოსახმობლად... რა ტკბილი იყო ის წამები, რა მომხიბლავი, რა სიხარულით რეკდა დიდ ზარს და უხმობდა სოფელს ახალი მცნების გასაგონად...

კიდევ მიაშტერდა მოღუშულ ლითონს, რომელიც ერთ დროს გოგიასთან ერთად მხიარულებდა და აღფრთოვანებული, ძლიერი ხმით გაიძახოდა: „ნაუ, ნაუს“ სულ სხვა მელოდია იყო ჩაქსოვილი მაშინდელ ზარის გამოძახილში. ეს სწამდა გოგიას, ეს სწამდა ხალხსაც და როცა პირველად გაიგონეს გოგიას-მიერ ამეტყველებულ ზარის ხმა, ხალხის გულში სულ სხვა სიმი ატოკდა, სულ სხვა რამემ გაიღვიძა—და ისიც სულის ღელვით ისმენდა გოგიას ზარის გამოძახილს... ისმენდა და ემზადებოდა ხარბად ჩაეყლაპა ის სხივი, რომლის წინამორბედი „დიდი ზარი“ იყო...

გოგიაც გრძნობდა, თუ რა ძალას აწნავდა მაშინ თავის ხელოვნებაში და უხაროდა... უხაროდა თვით ლითონსაც...

მაგრამ... დრო შეიცვალა... და გოგიამაც გააგრძელა ძველი სევდიანი რეკა, რომელშიც ჩაწნული იყო მორჩილება და სინანული, სევდა და სასოწარკვეთილება.. გრძნობდა გოგია რომ გაქრა აღფრთოვანება, იმედი და გული უკვდებოდა... და ხშირად, როცა დიდ ზარს შემოკრავდა და ზედ პაწიას ხმას მიაყოლებდა, სევდიანი ააიფიქრებდა ხოლმე:

— ეხ, როდის მოვესწრობი იმ დროს, კიდევ შემოვკრა დიდ ზარს ძველებურად, რომ ხალხმა მაცხოვრის მცნების სიტყვები კვლავ გაიგონოსო...

მაგრამ...

აი, ახლაც გაახსენდა ყველაფერი ეს, თვალწინ წარმოუდგა თვისი განვლილი ცხოვრება... წინ დაეხატა თვისი ნატვრა-ოცნება...

— ველარ, ველარ მოვესწარი კიდევ მომეხმო ხალხი,—გაიფიქრა ალბად საბრალომ, როცა აკანკალებული ხელით პირჯვარი გამოისახა და შვილის სახელი ახსენა...

სალამოა... გოგია სამრეკლოზე ასულა... იგი უკანასკნელ ღამეს ატარებს თავის საყვარელ ლითონთა შორის, ხვალ-კი სენაკს უნდა მოშორდეს და სოფელ-სოფელ სამათხოვროდ წავიდეს... დიდის გაჭირვებით ამოვიდა სამრეკლოზე, უნდა გამოეთხოვოს თავის მეგობრებს. სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და ისევ ფიქრმა წაიღო... ამ სალამოს სოფლის დუქნებისკენ ჩაიარა მან და ახალი ამბები გაიგო: სხვათა შორის, ვითომც გადასახლებულნი დაბრუნებულიყვნენ.

— შვილო, ნინიკა, ეგებ შენც დაბრუნდი?! წამოიძახა მოხუცმა... სახე გაუბრწყინდა.

— შვილო, კიდევ წამოიგძინა, მერე ზარებს მოავლო თვალი და დადუმდა; მისი დუმილი სავსე იყო სევდის მომგვრელ მოგონებით, ტანჯვითა და ოხვრით...

— მაშ, ახალ სიტყვას კიდევ მოვისმენ! გაიფიქრა გოგიამ გააჟრჟოლა ისეთ ნაირად, რომ მთელი ტანი აუთრთოლდა, ყურებმა წივილი დაუწყო, თვალები აუთამაშდა... წამი და იგი რაღაც გამოურკვეველმა ძალამ შეიპყრო დიდმა ზარმა მიიზიდა მისი არსება, მიიკვეთა მისი სული და გული...

ბინდმა მოიცვა მთლად არე-მარე... გოგია ოხვრით გაიშოტა სამრეკლოზე და სათვლემად მომზადებულ სოფელს გადახედა... მერე ძილმა მოიტაცა და მოხუცს ნელა ჩასთვლემა აბუტბუტდა სიო ცაცხვის ფოთლებში,—ჭრიჭინებმა კრუსუნით ამოიკვნესეს და ძილს მიეცნენ, მხოლოდ მინდვრის კალიები ხმა მაღლა გაჰკიოდნენ და ნიავის ჩურჩულს ბანს აძლევდნენ...



გოგია გულ-საკლავად ოხრავდა ძილში... რაღაცას ბუტბუტებდა... მაგრამ უცებ შესწყვიტა სუნთქვა.—აი მძინარის თვალწინ გადაიშალა მისი ცხოვრება... იგი სურ-განაბული, თრთოლვით უცქერს თავის ბედნიერ განვლილ წამებს... მაგრამ სურათი შეიცვალა: მის წინ გამოჩნდა დალვრემილი, ბორკილებიანი ნინიკა ..

—შესწყვიტე, მამა, ზარის რეკა?.. აღარავინ მოდის?.. უძახის ვაჟი და იგიც უსმენს შვილს და ცრემლი სდის .. ატოკდა მოხუცი.. რამდენჯერმე საშინლად ამოიგმინა.

სურათი იცვლება . იგი ხედავს ნინიკას დაბრუნებულს, მხიარულს... იგი მამისკენ მოდის ..—მამა, დარეკე ზარი, მოუხმე ხალხს! —უძახის პირ-მცინარი ვაჟი...

— კი, შვილო, და იგი ზარისკენ მიექანება... მაგრამ ამ დროს ჩნდება ხალხი— გოგიას წინ ქლობება.

-- გოგია ვერ დარეკს ზარს, ხელ გამხმარია! წამოიძახებს ერთი...

— არ შეუძლია! იძახის მეორე ..

— ახალი მნათე დარეკს...

— მამა დარეკე, მოუხმე ხალხს... ესმის გოგიას ნინიკას ხმა...

— კი, შვილო, შემიძლია დავრეკო ზარი... და გოგია აპობს ხალხს... აი, იგი ავიდა სამრეკლოზე... შემოჰკრა დიდ ზარს და გაისმა მისი მომჯადოებელი ხმა..

— დარეკე მამა! კიდევ მოესმა გოგიას ხმა, როცა ზარს აგუგუნებდა... გოგია შეკრთა .. „ვრეკ, მაშ რა არის?!“ გაიფიქრა მან...

— დარეკე მამა... თუ შეგიძლია! კიდევ ესმის გოგიას...

უცებ ყველაფერი ქრება... გოგია ოხვრით ზეზე წამოვარდება ..

— შემიძლია, შემიძლია შვილო. . აკანკალებული ეცემა თოკს...

— ნაუუ, ნელის ხმით გაიზმორა ზარმა — და სევდიანი მისი ხმა სივრცეში ჩაკვდა .

— შვილო! წამოიგმინა მოხუცმა... აღარ შემი...ძ...ლ.. ტუჩებზე მიაკვდა უკანასკნელი ასო და ძირს დაეცა...

მეორე დილას, როცა ახალი მნათე სამრეკლოზე ცისკრის დასარეკად ავიდა, საბრალო გოგია მკვდარი ნახა.



დია ჩიანელი

# სიმახინჯე, როგორც სახე

## მე-XIX-ე საუკუნის ქართველისა დღევანდლამდე*)

სიმახინჯე... ოხ, რა ამაზრზენი რამ არის ეს სახელი, რა ცუდი შინაარსის მატარებელია იგი, და მე კი დღეს ამ სიმახინჯეზე ვაპირობ საუბარს. მსურს ამ საგანზე გამოვებაასო პატივცემულ მკითხველს, და გადამახინჯებული სახე ქართველისა დაუხატო. დაუხატო არა ისე, როგორც ამას ხემი ფანტაზია მეუბნება, არა ფანტაზიითობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, და ცხოვრების სარკიდან კი მსურს სურათის ამოღება. თუმც ისიც ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ფანტაზიაც არის და ფანტაზიაც. არის იგი ხორც-შესხმული სინამდვილე, ფანტაზიის ზეწარში გამოხვეული, არის ოცნება, ემპირიულობას მოკილებული, ფანტაზია წმინდა, ნამდვილი. მე პირველზე მსურს ვილაპარაკო, რადგან ცხოვრების შვილები ვართ, მას გაუწიოთ ანგარიში, ოცნების ფრთებით ოცნების სამეფოში ფრენა კი სხვას დაულოცოთ. დავაკვირდეთ ცხოვრებას. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ასეთი სურათი: ავიღოთ ქანდაკება ელლინთა. მაგალითად აპოლონ ბელვედერელისა, ანუ მილოსელის ვენერასი. წამოვიდგინოთ შემდეგ, რომ ერთ წყეულ დღეს, ამ უკდავ მშვენიერებას შეეხო ვისიმე მზაკვრი ხელი, და კი არ დაამსხვრია, არა: მან აიღო თიხა, წამოასხა ევროპიული რამ სამოსი, ან ევროპიული ქუდი ზედ დაჭხურა. შეხედეთ შემდეგ ამ სურათს. თქვენში, თუ განვითარებუ-

*) საჯაროდ წაკითხული თბ. მუს. დარბაზში 22 ივნისს.

ლი გაქვთ ესთეტიური ჭვრეტა, თუ იცით რა არის ტკბობა მშვენიერებით, გაიღვიძებს ზიზღი იმ კაცისადმი, რომელიც შეეხო ელლინთ ქმნილების საუკეთესო ნიმუშს, ნაყოფს ერის გენიისას. რას ვიზამთ ჩვენ? გამოვლენ გულშემატკივარნი, რომელნიც შემოეხვევიან გარშემო, და ეცდებიან ეს ზედ-ნაშენი სიმახინჯე შემოაცილონ ისე, რომ ის ხაზები, რომელნიც გამოაქანდაკა მადლიანმა ხელმა ელლინთ გენიოსისამ, არ დამახინჯდეს თუ შესძლებენ. ან და წარმოიდგინოთ მთიდან გადმოვარდნილი ანკარა ნაკადული, რომელიც სულ ბრძოლაშია, ეხეთქება კლდიდან კლდეს, ვერცხლის ცვრებად მიიღვრება, და ასე განაგრძობს გზას. წარმოიდგინეთ, ამ ნაკადმა მთისამ ჩამოიარა და შეუერთეს მდინარეს. მდინარემ თავისი მღვრიე ტალღები ოდნავ შეაპარა ნაკადის წმინდა ჩქერში, და შეიქმნა ახალი სიმახინჯე. ნაკადის ნათელი სახე დამახინჯდა. სურათი აქაც საზარელია, ან და ავიღოთ მაგალითები ყოველ-დღიურობიდან. წარმოიდგინოთ ძველი ქართველი, ჩოხაში, ხანჯლით, ევროპიული ქუდით და ამერიკული ფეხსაცმელით. ეს სურათი ჯერ ღიმილს გამოიწვევს ჩვენში. და არამც თუ ღიმილს, სიცილსაც, მაგრამ სიცილი იგი მწარე იქნება, როდესაც ამ მოვლენის სიღრმეში ჩავიხედავთ. ან წარმოიდგინოთ ქართულ ქათიბში გამოწყობილი ქართველი ქალი და თავზე კი ევროპიული „შლიაპა" წამოვახუროთ. აქაც სიმახინჯე იქნება სატირალ-სასაცილო. მაგრამ მაგალითების მოყოლებას თავი დავანებოთ. ჩვენს ცხოვრებაში მის ნიმუშებს მრავლად შევხვდებით. მე აქ მსურს განვმარტო ის, თუ რა არის სიმახინჯე, ან და რას ვგულისხმობ მე ამ ცნების ხმარების დროს. აქ, მე სულაც არ მაინტერესებს მისი ბიოლოგიურად განმარტება, როგორც პათოლოგიური რამ ხასიათის, ან და როგორც ანომალია არა, ამ მხრივ ქართველებს არა გვიჭირს რა. მე მსურს განვმარტო იგი ეგრედწოდებულ ფსიხოლოგიურად, და საკითხს შევეხო ესთეტიური თვალ-საზრისით. იქ კი, სიმახინჯე წარმოგვიდგება, როგორც ანტითეზა სილამაზისა. ესთეტიური თვალთახედვით, იგი არის გრძნობითი არა სასიამოვნო რამ, ე. ი. სრული წინაღმდეგობა იმის, რაც ესთეტიური განჭვრეტით ჰბადებს გრძნობას სასიამოვნოს, და რაც ცალკევდება და მაღლდება როგორც მშვენიერება. და არ არის ძნელი გამოსაცნობი, რომ სიმახინჯე არის ცნება შედარებითი, რომ იგი არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მისი ტეზა, და იმდენად, რამდენადაც არსებობს ეს უკანასკნელი. ხოლო თუ არ იქნებოდა სილამაზე, მშვენიერება, მაშინ არ იქნებოდა სიმახინჯეც, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ პირველის უარ-ყოფაა და საკმარისია, რამე მოვლენამ გამოიწვიოს ჩვენში ასტენიური რეაქცია ე. ი. მოდუნება ჩვენი ნერვო-ფსიხიური სფეროსი, და დაიბადება ჩვენში ტონი უარყოფითი. დაიბადება სურვილი ამ მოვლენის მოსპობისა. და ამ გვარ მოვლენათ, ან და საგანთ ჩვენ ვეძახით არა ლამაზს, —მახინჯს. ხოლო არიან მოვლენანი, რომელთ ჭვრეტა ჰბადებს რეაქციას სტენიურს, რომელიც გამოიხატება ორგანიზმის მმოძრავ მდგომარეობაში, და რომელიც ჰბადებს ჩვენში კეთილ განწყობილებას სულისას, და ამას ვეძახით სილამაზეს, მშვენიერებას. პირველს ჩვენ ვერიდებით, ვგძულს, გაურბით. მეორეს ვეტრფით, მისით ვსტკბებით. და დღესაც ამ პირველზე ვილაპარაკოთ, რომელმაც მე XIX საუკუნეში ღრმად გაიდგა ფესვები. პირი ლია კი, გარედანაა, სადაც ვიხედებით რა, ვხედავთ იმ საზარელ სურათს, რომელიც წარმოიშვა ჩვენში მე XIX საუკუნის განმავლობაში.

მაგრამ ვიდრე მეXIX საუკუნეზე დავიწყებდეთ საუბარს, საჭიროა გავიხსენოთ საქართველო მე XIX საუკუნემდის, და ვნახოთ, თუ როგორი იყო იგი. რა სურათს წარმოადგენდა, ან და როგორ არის დახატული იგი მწერლობაში. გადავავლოთ თვალი, გადავშალოთ რვეული ჩვენი ცხოვრებისა, და იქ დავინახავთ ისეთ რამეს, რაც საკაცობრიო ისტორიას ცოტა ახსოვს. ერმა, რომელსაც აქვს მრავალი საუკუნის სიცოცხლე, შეინახა სახე და დღევანდლამდის მოაღწია. მიუმატოთ ამას ისიც, თუ რა რიცხოვანი იყო იგი ერი, და სურათი ნათლად და გარკვეულად წარმოგვიდგება. ამ ხნის განმავლობაში, ქართველი ერი იბრძოდა, იბრძოდა თავ-გამეტებული, და ისე ინახავდა თავს. ისე ჰქმნიდა თავის ისტორიას. ქართველ ერს ცალ ხელში მახვილი ეპყრა მტერთ-საგერებლად, მეორეში ლამპარი სხივოსანი, რომლითაც იგი იკვლევდა გზას, იქმნიდა კულტურას. და რა

შექქმნა მან ამ გზით? რას მოგვითხრობს ისტორია? ამ გზით მოსიარულე ერმა შეიქმნა აღორძინების, ოქროს ხანა მე XII საუკუნეში, მისცა კაცობრიობას ისეთი ჭკნიოსი, როგორიც არის დიდი შოთა რუსთველი, თავის ისტორიაში კი მოიქცია ისეთი სახელები, როგორნიც არიან ჩახრუხაძე, მოსე ხონელი, შავთელი და სხვანი... ამ საუკუნეს ჭკნიალმა ხელმა შეაკავა ყოველ მხრიდამ მოთვალთვალე მტრები. დროებით შეჩერდა აელვარებული ხმალი, სამუსრად განმზადებული, გაიფანტა საქართველოს ციდან შავი ღრუბლები, ერი ხარობდა, სტკბებოდა ოქროს ხანით, თუმც ცოტა ხნობითი იყო იგი ტკბობა. მოკვდა ჭკნიოსი მეფე-თამარი, და საქართველოც დაიქსაქსა. საქართველოს ცაზე კვლავ აირივნენ შავი ღრუბლები. კვლავ გადაკრა საქართველოს ცას ღრუბელთ თალი, კვლავ ამოძრავდა მახვილი მტრების, და ერი გულადი ამაყი, ჯარასავით დატრიალდა თავისი პირადობის, თავისი „მე"ს შენახვისათვის, დაცვისათვის. კვლავ დაიწყო ტრაგედია ერის, რომელშიაც მე XII საუკუნე მოსჩანს როგორც ანტრაქტი, ტრაგედიის მოქმედებათა შუა. საქართველოს ყოველი მხრიდამ შემოესია მტერი, რომელიც ქვეყნის პირიდან აღგვას ემუქრებოდა და ასე, საქართველომ მე-XVII საუკუნემდის სულ ბრძოლაში გაატარა.

მე-18 საუკუნეში-კი კვლავ მობრუნდა ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა, გაიფანტა ბნელი ჯანღი, და ერმა იწყო აღორძინება... შეიქმნა ახალი ხანა, მაგრამ ამაზე შემდეგ...

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# სატრფოს

მკერდ მითვლემილ ტბის ნაპირზე გამოვჭერი ლერწმის ღერო,
ზედაც თვლები ამოვკვეთე, და მსურს ისე ავამღერო,
რომ შეგამკო, ჩემო კარგო, გედსავით ყელ-მონაღერო,
ცის ასულო, მიწის ჯილდოვ, მშვენიერზე მშვენიერო.
ჲაე, შენი სიწარმტაცე ნარნარ ხმებში ამეტყველდეს,
რომ არ დასჭკნეს არასოდეს, არასოდეს არ დაძველდეს.
შენი თვალი ლურჯი ტბაა, ლურჯ ყვავილზე ანაცური,
შიგ გამოკრთის ნაზი ტრფობა, ხან სიმტკიცე ვაჟკაცური;
ეგ წარბები ხშირი ტყეა, შუა ახრილ-აწეული,
ლოყა ვარდის ფოთოლია, ბაგე—ლალი-ბროწეული...
კმარა... რაგინდ რა აგწერო, ერთი სიტყვაც არ მოგაკლო,
რომ დავხატო ნაზ რითმებში ეგ სიტურფე სწორ-უნაკლო,
ბოლოს მაინც ეს უნდა ვსთქვა: წარმტაცი ხარ თვალად, ტანად,
რომ ამ ქვეყნად მოსული ხარ სიყვარულის მოსატანად;
მაგრამ შენზე რა აზრის ვარ, ოცნებაო, ჯერ არ მკითხო,
ჯერ მსურს კარგად შეგისწავლო, გულიც უნდა წამაკითხო.
თორე ისე მე რა ვიცი შენი აწმყო, ან წარსული,
მე რა ვიცი ლერწამ ტანში, რანაირი გიდგას სული?..
და თუ მიყვი, ეს ნუ გიკვირს, ნუ გაკვირვებს ტრფობის ნანა;
მსურს ნაღვლევყო საიდუმლო, მინდა ავხსნა ამოცანა.

**ი. სიხარულიძე**



**შალვა მიქელაძე**

(დრ. საზ. გამ-ის წევრი)

...რა ჰხდება გამგეობაში თუ ვიცოდე—
ღმერთი გამიწყრეს!..

# ცხოვრება

პიესა სამ მოქმედებად



Настоящая пьеса подъ заглавіемъ „Жизнь", сочиненіе С. Глахашвили, разрѣшена Намѣстникомъ Его Императорскаго Величества на Кавказѣ для представленія на сценахъ края (Отзывъ Канцеляріи за № 5003—914). 12 февраля 1914 г. Гор. Тифлисъ.

ს. გლახაშვილი Предсѣдатель Комитета В. Колобовъ.

**მოქმედნი:**

**გიორგი**, ექიმი — 28 წ.
**ვანო**, ამისი ძმა, სტუდენტი, — 23 წ.
**მაია**, ამათი დიდედა, — 70 წ.
**კატო**, გასათხოვარი ქალი, — 23 წ.
**კონა**, გასათხოვარი ქალი, მაიას ნათლული
**დათია**, მთიული მეცხვარე.
**სესია**, კონას მამა, გლეხი.
**ლანდი**, გიორგის მამისა.
**დილიჟანის კონდუქტორი.**

**მოქმედება პირველი**

კავკასიის გზის პირას ფიჭვ-ნაძვნარ მთის სოფელში ექიმ გიორგის კოპწია სახლის კარმიდამო. უკან სახლი, რომლის აივანი ეზოს გადმოჰყურებს, მის წინ ვარდის ბუჩქები; ფიჭვთა და ნაძვთა ხეებს შორის ეზო შემოღობილია; ეზოს შუა დიდი კაკლის ხეა, რომლის გარსა სკამია, ხოლო მის წინ მაგიდა, ზაფხულის საღამოა.

**I**

**კოწია, გიორგი.**

**კოწია.** (ვარდსა სწყვეტავს) აი, ეს გიორგისათვის... მას ჯერედ გაუფურჩქვნელი უყვარს... (შევა სახლში, ფანჯრიდანა სჩანს, როგორ სდებს მინის საყვავილეში ვარდსა; გამოსვლისას) ეს-კი ჩემს ბედ-დამწვარ ნუნუსა..

**გიორ.** (ეზოში შემოსული, რა შეამჩნევს) კონა, შენა? საით?

**კონა.** სანინოსა...

**გიორ.** უექველია სალოცავად!..

**კონა** — დიაღ...

**გიორ.** დიდედა სახლშია?

**კონა.** არა, მეზობლიანთაა. გჭირია რამე?.. მე დავრჩები...

**გიორ.** (შედის, ფანჯრიდან გამოჩნდება: ჩანთას შკაფში სდებს) არა, აბა, რას ამბობ... ოჰო, კიდენ გაუფურჩქნავი ვარდი ჩემს მაგიდაზე...

**კონა.** იქნება არ გესიამოვნება?.

**გიორ.** (გამოვა) პირიქით მე ამგვარი მიყვარს, ხოლო თავის შტოზედა, მოუწყვეტელი... იგი დიდხანს იხარებდა.

**კონა.** სულერთია, მაინც დასჭკნებოდა...

**გიორ.** მაგრამ არა სხვითი, არამედ ბუნებრივადა..

**კონა.** (დარცხვენით) ნეტა არ მომეწყვიტა...

**გიორ.** არა, რატომ, თუ-კი გესიამოვნება..

**კონა.** არა, მე ჩემთვის არასდროს... აი, ესეც...

**გიორ.** (გახუმრებით) ეგ ვილასთვის? უთუოდ...

**კონა.** ნუნუსთვის...

**გიორ.** (დრუბელ გადაკრული) ნუნუსთვის?..

**კონა.** ნუნუს უყვარდა ვარდის მოწყვეტა და მისი დაფურცვლა.

**გიორ.** (მოწყვეტს ვარდს) მაშ, აი, ესეც ჩემს მაგიერ საფლავზე დააფურცლე... ნუღარ იგვიანებ...

**კონა.** მე შემიძლიან დღეს აღარ წავიდე, თუ შენ საქმე გაქვს რამე ..

**გიორ.** არა, წადი ილოცე ნუნუსთვის... ხოლო მალე მობრუნდი; და სასტუმროს გვერდითი ოთახი მოაწყე სტუმარ ქალისათვის...

**კონა** (უცნაურობის მეტყველება გადაჰკრავს) ქალისათვის?..

**გიორ.** ჰო, რუსეთიდან მოდის...

**კონა** რუსეთიდან, შენი...

**გიორ.** ჰო, ჩემი მეგობარი ..

**კონა.** (ჩათუთქული თავისთვის) მეგობარი... (გულში ჩაკვლით) გიორგი, იმას უთუოდ მთის ყვავილები ეყვარება...

**გიორ.** საშინლად...

**კონა.** მოუტანო... (გადის) მალე დავბრუნდები...

**გიორ.** (თვალს გაადევნებს) უცნაურობის

ღრუბელმა გადაჰკრა .. არ ესიამოვნა... მერე და მე?.. მე-კი გამახარებს?.. მე-კი მომიტანს ის გაზაფხულსა?.. (კითხულობს დეჰეშას) „წუხელი ჩამოველ კავკავს, საღამოს მანდა ვარ. შენი კატო“ (ჩაფიქრებული) მოფრინავს...

II

**გიორგი, მაია**

**მაია.** (შემოსვლისათანავე) შენა ხარ, შვილო, გიორგი...

**გიორ.** მოფრინავს, დიდედა-ჩემო, მოფრინავს...

**მაია.** რა მოფრინავს, შვილო! რა მოფრინავს?..

**გიორ.** მერცხალი, დიდედა-ჩემო, მერცხალი... გაზაფხულის ფრინველი...

**მაია.** იჰ, შენ-კი გაიხარე: მერცხალი, შვილო, რაცახანია მოფრენილია და უკვე ზაფხულია...

**გიორ** მერე და ყოველთვის მოაქვს მას სიხარული?..

**მაია.** იგი მახარობელია, შვილო, გაზაფხულისა; მერცხალსა, შვილო, თანა სდევს სიხარული ბუნებისა.

**გიორ.** მაგრამ დიდედა-ჩემო, თუ ზაფხული გვალვიანი გამოდგა, ამით ხომ დედამიწა გაფიცხდება და რაღა გაახარებს ბუნებას?

**მაია** ნაცვლად ჩვენი მყინვარი წამომდინარდება, შვილო! ჩვენც მითი გული უნდა გავიგრილოთ: მშობელი ჩვენი ნიადაგიც მითივე მორწყათ.

**გიორ.** მდინარე, დიდედა-ჩემო, თავის კალაპოტში მიდის, მინდორ-ველს მიუწვდება?!.

**მაია** სათავეში, შვილო, არხი უნდა გაიყვანო და ტოტი შიგ შეუგდო.

**გიორ.** და მით ნიადაგი რომ მოირწყვის, დანოყიერდება, არა დიდედა-ჩემო?!,

**მაია.** ცხოვრება გაგრძელდება, შვილო!

**გიორ.** და ბუნება მითი გამხიარულდება?

**მაია.** ბუნება, შვილო, ყოველთვის გახარებულია..

**გიორ.** მაშ ჩვენ, დიდედა-ჩემო, ჩვენც გავიხაროთ...

**მაია.** გაგახაროს, შვილო, ქრისტე ღმერთმა; შენა, შვილო, დაბადებიდან ჩვენი გამხარებელი იყავი; მამა შენი, შვილო, ოჯახის ბურჯს გეძახდა...

**გიორ.** ბურჯი?!. ბურჯი საძირკველ გამოცვლილი .. არა, დიდედა-ჩემო, მე მეტად სუსტი ვარ ჩემის ნაშენისათვის; ჩემი ჩამომავალი ჩია იქნება და ჩიასთვის ხომ ბუნება მკაცრია, დედინაცვალი! ვით ჩემთვის. დედიჩემისთვის...

**მაია.** მართალია, შვილო, დედაშენი სუსტი იყო, და მამაშენს-კია ჯანსაღ მოდგმისა სჭიროდა .. ჩვენში, შვილო, დაღლილ, გაფიტულ მიწაში ნოყიერ თესლს დასთესენ ხოლმე, რომ მოსავალი საშუალოდ მაინც მოვიდეს...

**გიორ.** დიახ, დიახ, გაფიტული...

**მაია.** ხოლო ნაცადი მებაღე-კი, შვილო, რო შეატყობს კეთილჯიშიანი ხის სისუსტეს და უნაყოფობას, აიღებს მისგან სანერგედ შტოსა და ტყის ვაშლის ხეზე ამყნობს. აი, იგი, შვილო, თავის მაგარის ფესვით ნამყენს გააძლიერებს; გაცხოველებული ნამყენიც თავისებურ ჯიშიან ნაყოფს მოისხამს; მასთან უფრო გამძლესა.

**გიორ.** დიახ, დიახ, ეგ ყველაფერი კარგი, დიდედა-ჩემო მაგრამ. .

**მაია.** ჰო, შვილო, რაღაც უნდა გეხარებინა.

**გიორ.** ჰო, და: აი, ახლა მინდა შენი სურვილი განვახორციელო და მამის ანდერძიც აღვასრულო.

**მაია.** მამა ღვთისა შეგეწიოს შვილო!

**გიორ.** შეიძლება ხვალვე აი, ამ ჩვენს ეკლესიაში ჯვარი გადავიწერო.

**მაია.** ჯვარი დაგწეროს ქრისტე მაცხოვარმა და სიხარულით დაგაბეროს გამრავლებული, როგორც მე გამახარებ. მერე, შვილო, სიკვდილს აღარად მივიჩნევ... მაგრამ, ჰე, დაილოცა ღვთის სამართალი!.. ახლა მე-კი არა, შვილო, ჩემი შვილი, უბედური მამაშენი უნდა გადგეს თავსა, რომ მშობლიური ლოცვით დაგაგვირგვინოს.

**გიორ.** ახლა, აღარა მკითხავ, დიდედა-ჩემო, ქალი ვინ არი?

**მაია.** რაღა თქმა უნდა, შვილო, უძრახ ოჯახისა და ჯანსაღ მოდგმისა იქნება.

**გიორ**. შთამამავლობა?.. შთამამავლობას არც-კი ვიცნობ... დიდედა ჩემო, მე ქალსა ვთხოულობ და მის ოჯახს რასა ვკითხულობ.

**მაია.** ვუი თვალებიც დაუდგეს შენს დიდედასა! რას ამბობ, შვილო! ექიმი ხარ, შვილო, და მაგას როგორ ამბობ? მიხაროდა გლეხებს, რომ არიგებდი: „სუსტი ქალი არ შეირთოთო: გამონახეთ ჯანმრთელი მშობლისა, რომ არ ამოვწყდეთო. .“

**გიორ**. მართალია, დიდედა-ჩემო, მართალი... მაგრამ სიყვარული..

**მაია**. შეგიყვარდა?!.

**გიორ**. დიახ, დიდედა-ჩემო, რუსეთში..

**მაია.** რუსია?!. მერე და, შვილო, განა ქართველობაში ველარ შეგხვდა?..

**გიორ**. სიყვარული არ არჩევს...

**მაია**. მრწამს, შვილო!.. მაგრამ თვალი რო ჩვენში მოგევლო, მაშინ სიყვარული მაგრე შორს არ გაგიტაცებდა..

**გიორ.** ეგ სულ ერთია, დიდედა-ჩემო! ჩვენ მოვაშინაურებთ...

**მაია.** სულ ერთია?!. არა, შვილო. . მშობლების სხვა და სხვაობა შვილს აორგულებს, ჩამომავლობას დააუჯიშოებს.. მერე სად გაიცანი? დარწმუნდი-კი რომ მას უყვარხარ?

**გიორ.** მთელის ხუთის წლის ვანმავლობაში, რაც რუსეთში ვსწავლობდი, ვცდიდი და უკვირდებოდი...

**მაია**. მშობლებსაც კარგად იცნობდი?

**გიორ**. მამას ვიცნობდი, ახლახანს გარდაიცვალა. მეტად გულ-კეთილი იყო...

**მაია**. კეთილი?.. დედას?

**გიორ**. დედა ახლახანს მოჰკდომია, რომელსაც ქონება აუარებელი დაუტოვებია შენს სარძლოსთვისა.

**მაია**. ქონება, შვილო, არაფერია... უმთავრესი თვით ქალია... მერე, დედა სადღა ჰყვანდა, რომ შენ არა გცნობია!?

**გიორ**. საზღვარ გარეთა.

**მაია**. ქმართან არა სცხოვრობდა?!.

**გიორ**. არა...

**მაია**. (შეეტყობა უსიამოვნება) მაშ...

**გიორ.** ორი წლისა ყოფილა ბავშვი, რომ დაუტოვებია ოჯახი და წასულა...

**მაია**. წაჰყოლია უცხო კაცსა?! დაუტოვებია ქმარ-შვილი!.. მერე და, ქალი დადიოდა დედასთანა?.



მსახიობი **კ. მაჭარაშვილი**
სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო

**გიორ**. ცამეტი წლის შემდეგ ყოველ წლობით.

**მაია**. (მუხლებ ჩაკრებილი) ვუიმე დალუპულო ოჯახო?!.

**გიორ**. დამშვიდი, დიდედა-ჩემო! დედის საქციელი იმაზე ვერ იმოქმედებს, ის მეტად კეთილი და პატიოსანი ქალია. აი, მოვა ახლა და ნახავ შენის თვალითა.

**მაია**. ვნახამ? მერე და ნახვით, შვილო, განა იცნობება? ქალის გამოცნობას, შვილო, ერთის შეხედვით თვით გამოცდილიც ვერ შესძლებს... ქალს ჩვენში, შვილო, ვიდრე ითხოვდნენ, საიდუმლოდ მის მშობლებს გამოიძიებენ, მეზობლებს გამოჰკითხავენ.

**გიორ**. შენც დიდედა-ჩემო, ორ დღეში მისი ხასიათი და ჩვეულება მისივე მოქმედებით გამოიძიე და შემდეგ შენი აზრიც გამიზიარე.

**მაია**. ეჰ, შვილო, სიყვარული ბრმაა... ახლა გვიანღაა... ნაპერწკალი მოსარიდებელია სანამ თივას დაეცემა; როს იგი აბულბულდება, წყლის დასხმით ცეცხლი ვერ განელდება...

**გიორ**. (მოეხვევა) დიდედა-ჩემო! ჩემს ცხოვრებაში ქარი არ მომკარებია და ნაპერწკალიც მისთვის არ გამიტანებია.. მართალია სიყვარულის ალს განუცდივარ, მაგრამ სიმწვავეს ვერ დაუძლევივარ... და, აი, ახლა-კი ვემყარები შენს გამოცდილებას...

**მაია**. (მოეხვევა) გენაცვალოს დიდედა შენი!.. ახლა, შვილო, ჩემი გამოცდილება ეცდება მხოლოდ ამხილოს მის სიყვარული..

**ს. გლახაშვილი**

(გაგრძელება შემდეგ)

# რას უქადის ხელოვნებას მომავალი

მრეწველობის განვითარებას სთვლიან ხელოვნების გადაგვარების უმთავრეს მიზეზად: უსულო მანქანები თანდათან სპობენ შემოქმედებითი წარმოდგენას; იქ, სადაც ადამიანის გონება დახლუნგებულია და უბრალო ვინტის როლს ასრულებს, შეუძლებელია ხელოვნების განვითარებაო. ჩვენის აზრით, მრეწველობა სრულიადაც არ გამოიწვევს ხელოვნების კრიზის, რადგან რაც უფრო ახლოს დაემსგავსება მანქანა ცოცხალ არსებას, იგი მით უფრო ესთეტიური იქნება ადამიანისათვისო; მრეწველობის იდეალია ძალთა ეკონომია, ცხოვრების იდეალიც იგივეა და მხოლოდ ცხოვრებაში შეხვდებით ამ იდეალის სრულს განხორციელებასო. ერთის შეხედვით, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება მართლაც ფრიად მავნებლად მოსჩანს ხელოვნების განვითარებისათვის; მანქანისებური მუშაობა ქარხნებში ჩაბმულ მუშისა, იქ გამეფებული, ეგრედწოდებული ეკონომიური დანაწილება სამუშაოსი (რის წინააღმდეგ ეგრე გაცხარებით ილაშქრებდა მიხაილოვსკი) ძალზე აფერხებს მუშების გონებრივ განვითარებას*) და კერძოდ მათ ესთეტიურ შეგნებას, მაგრამ დემოკრატია სწორედ იმ პირობათა შესაქმნელად იბრძვის, რომელნიც დღეს ოთხად წელში მოხრილ მშრომელთ საშუალებას მისცემს, იცხოვრონ ადამიანური ცხოვრებით და ფიზიკური მუშაობა გონებრივი ვარჯიშობით გააღრმავონ.

გარდა ამისა მანქანების ურთულეს განვითარებაში ადამიანი რაღაც ზებუნებრიულს ხედავს და შეადარებს რა თვის მოძრავ და ცოცხალ გონებას იმ უსულო საგანთ, რომელნიც მხოლოდ მის მიერ ამოძრავდებიან, მით მეტი პატივისცემით და აღფრთოვანებით უცქერის ადამიანის შემოქმედებით ნიჭიერებათ და ამ უსულო მანქანათაც კი პოეტურის ელფერით შემოსავს.

ზოგიერთს განსაკუთრებით რკინის გზებისათვის მიუქცევია ყურადღება და დაასკვნის: მათ დაარღვიეს ბუნების წარმტაც სურათების სიდიადე და თვისი მიმზიდველობა დაუკარგესო. ხოლო რკინის გზები ამ მხრივ სრულიად უვნებელია; პირიქით იგინი შეძლებას გვაძლევენ თავისუფლად ვიმგზავროთ სხვა და სხვა ქვეყნებში და გავეცნოთ სხვა და სხვა ბუნებას. ჩვენს ლამაზ და ტურფა ქვეყანაში მატარებლით მოგზაურობის დროს უცხოელს შეუძლია გააღოს ფანჯარა და დასტკბეს იმ უძვირფასესი სანახაობით, რომელიც თვალწინ გადაეშლება. მართალია, სულ სხვა სიამოვნებას განიცდის ადამიანი, როდესაც ფეხით მოგზაურობს და მაშასადამე შეუძლია ხანგრძლივად დასტკბეს ბუნების მშვენიერი სურათის ჭვრეტით, მაგრამ ასეთ საშუალებას რკინის გზები სრულიადაც არ გვიშობენ. ვისაც სურვილი აქვს, განსაკუთრებით დღეს შეუძლია დაათვალიეროს ძვირფასი ადგილები.

დიახ, ვერც მრეწველობის განვითარებას ძალუძს ხელოვნების შეფერხება. მოვა დრო, როდესაც შავი ჭვარტლით შესვრილ ქარხნების სარკმელშიც შეიჭრება ხელოვნება და თვისი სიმშვენიერის შესახებ მჭევრმეტყველური ქადაგებით ყველას აგრძნობიებს თვის სიძლიერეს; ამ დროს იგი ყველასათვის „არსებობის პურად“ შეიქმნება და ფასი იქნება ჰარმონიული განვითარება თავისუფლებისა და ძმობისა, მეცნიერებისა და მშვენიერების სათანადო შეგნებისა...

**ალ. წერეთელი**

*) როგორც მიხაილოვსკი იტყოდა; „фабрика является високой степенью развитія пониженнаго типа...“

# საჭიროა დრ. საზ. ბაქოში

ბაქოში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი ამ ათიოდე წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა. თუ წინად აქ იშვიათად შეხვდებოდით ქართველს, დღეს ყველა დაწესებულებაში ნახავთ, განსაკუთრებით ნავთის სამრეწველოებში. და ეს მოვლენა არც გასაკვირველია. ამ „მაზუთის სამეფოს“ თუ შორეულ ქვეყნებიდან ასობით და ათასობით აწყდება ხალხი, რატომ ახლობელ საქართველოს მკვიდრნი. არ უნდა ეწვივნენ სამუშაოდ? ბევრი თუმცა ჩამოსვლისთანავე ვერ მოულობს საქმეს, მაგრამ სამუშაოს მოლოდინში აქ რჩება და საქმეს ეძებს. აი ეს არის უმთავრესი მიზეზი ბაქოში ქართველების გამრავლებისა. ამ

გარემოებით უნდა აიხსნას აქაურ ქართულ კულტურულ საქმიანობის ისტორიაც და მისი დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ მის ერთს დარგს—ქართულ თეატრალურ საქმეს, რომელიც დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ არის რიგიანად მოწყობილი.

ადგილობრივი ძალებით ქართულ წარმოდგენების მართვა ქ. ბაქოში ამ 8-9 წლის წინეთ დაიწყეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების დაარსების შემდეგ (რამდენიმე წარმოდგენა, როგორც ამბობენ, მანამდინაც გაუმართავთ, თბილისიდან ამოსულ მსახიობთ). წ კ განყოფილებასთან შესდგა დრამ. სექცია ექვსიოდე სცენის მოყვარესაგან, რომელიც წელიწადში ერთ-ორჯელ მართავდა წარმოდგენას. მაშინ ბაქოს ქართველობა მცირე რიცხოვანი იყო: არ იყო საზოგ. ის ნაწილი—დემოკრატია, რომელსაც ყოველთვის და დღესაც უფრო აინტერესებს თავისი ეროვნული თეატრი. ბოლო ხანებში ბაქოს ქართველობამ იმატა და მასთან მისი კულტურული მოთხოვნილებაც გაიზარდა, რის დაკმაყოფილება დრ. სექციამ სავსებით ვერ შესძლო, რადგან მისი მფარველ-პატრონი წ. კ. ს. გამგეობა სხვათა შორის მფარველობდა მას, ვინაიდან გამგეობის უმთავრეს საზრუნავ საგანს სკოლა შეადგენდა. სექცია უმთავრესად ისტორიულ პიესებს სდგამდა, საჭირო იყო თანამედროვე პიესების წარმოდგენაც. ამ მიზნით დაარსდა ჯერ ბალახანაში, შემდეგ შავქალაქის სახალხო სახლთან ქართველ სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც დრო-გამოშვებით ახერხებდა თანამედროვე პიესების დადგმას. ისედაც თითზე ჩამოსათვლელი სცენის მოყვარენი ორად გაიყვენ და ერთმანეთს მტრულად დაუწყეს ცქერა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ორივე ჯგუფმა იცნო თავ-თავისი სისუსტე დაქსაქსულობის გამო და შეერთდენ, გამოიმუშავეს რეპერტუარი, მუშაობის გეგმა და საქმეს შეუდგნენ. პირველ ხანებში საქმე რიგიანად მიდიოდა, მაგრამ განხეთქილებამ ისევ იჩინა თავი და სექციას კვლავ ჩამოშორდა რამოდენიმე სცენის მოყვარე. **1911** წლიდან უფრო თვალსაჩინო შეიქმნა რიგიან წარმოდგენების მოთხოვნილება. ამას კერძო პირნიც მიხვდნენ. გაჩნდენ ანტრეპრენიორნი, რომელნიც მართავდენ წარმოდგენებს, როგორც ბაქოში, ისე მის რა ონებში, ადგილობრივ დაქსაქსულ სცენის მოყვარეთა მეოხებით. ზოგიერთ „ანტრეპრენიორს“ რასაკვირველია წარმოდგენის შემოსავლის მხარე უფრო აინტერესებდა, ვიდრე მხატვრული, რაც საზოგადოებას თეატრისადმი გულს უცრუებდა. მიუხედავად ამისა ყველა წარმოდგენას ხალხი ბლომად ესწრებოდა.

საჭიროა სცენის მოყვარეთა შეერთება, საერთო ძალით მუშაობა, მაგრამ ეს დღემდის ვერ მოხდა: ერთი ნაწილი დრამ. სექციაში მუშაობს, მეორე ქართულ ლიტერატურულ წრეში და ერთი-მეორეს არ ეკარება მიმართულებათა განსხვავების გამო. რა შეაერთებს ამ დაქსაქსულ ძალებს? რა უშველის საქმეს? მხოლოდ ერთად-ერთი დრამ. საზოგ. დაარსება.

სხვა მხრიდანაც შევეხოთ საკითხს. მართალია წ. კ. საზ. გამგეობასთან არსებული დრამ. კომიტეტი თითქოს ავტონომიურად განაგებს თეატრალურ საქმეს, მაგრამ ნამდვილად ყოველივე მისი გადაწყვეტილება წ. კ. ს. გამგეობის ფილტ-აში იწმინდება. გამგეობა კი, როგორც ზევით ვსთქვით, თეატრალურ საქმეს სხვათა შორის უყურებს: მისი თავი და თავი საზრუნავი საგანი ქართული სკოლაა, რაიცა სასურველია, მაგრამ ამავე დროს ქართული თეატრიც არ შეგვიძლია სახსვათაშორისოდ დავტოვოთ. ტყუილად კი თქმულა: ორი კურდღლის მიმდევარი ვერც ერთს დაიჭერ'ო. წ. კ. საზ. გამგეობის საზრუნავად ორი საქმეა, ორივე ერთი მეორეზე მნიშვნელოვანი—ქართული სკოლა და ქართული თეატრი. ერთისკენ მათი ყურადღების მიპყრობა, მეორეს უყურადღებოდ დატოვებას ნიშნავს და რადგანაც გამგეობა უფრო სკოლას აქცევს ყურადღებას, თეატრალური საქმე იჩაგრება. ამ მოსაზრებითაც ვამბობთ, რომ თუ ჩვენ გვინდა ბაქოში გადმოხვეწილ ქართველების კულტურული მოთხოვნილება დაუკმაყოფილოთ და ქართული თეატრალური საქმეც ავაყვავოთ, აუცილებლად უნდა დავაარსოთ ქართული დრამატიული საზოგადოება, რომელიც შეაერთებს აქაურ სცენის მოყვარეებს და ქართულ თეატრის ბედ—იღბალზედაც იზრუნებს.

ჩვენ მოუწოდებთ დრამატიულ კომიტეტის და ლიტერატურულ წრის იმ წევრებს, რომელთაც სურვილი აქვთ ასეთი საზოგადოების დაარსებისა, ამ შემოდგომაზე შეიკრიბონ და საქმეს შეუდგნენ.

**ს. ქ-ძე**

## გვრიტი

გაზაფხულის წყნარი საღამო იყო... მზის მცხოვან სხივებს სიცხოვლე დასუსტებოდა და მთის წვეროკინაზე დატრიალებდა ჩასასვლელად...

მინდვრიდან მოისმოდა მუყაითი ძახილი ყანის მკელებისა...

—ჰოპუ, ჰოპუ, ბიჭო!—გაიძახოდნენ და თან, წელში წახრილნი, მარჯვათ ატრიალებდნენ ნამგლებს: ეტყობოდათ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მკაში...

ფრინველნიც ჟივილ-ხივილით მიეშურებოდნენ ტყისკენ ღამის თავშესაფარის საშოვნელად..

მინდვრის შუა-გულ ადგილას ერთი ბებერი მუხა იდგა, რომელზედაც თამამად იჯდა ორი გვრიტი, დედა და შვილი ..დედა გვრიტი ეალერსებოდა შვილს, ჰკოცნიდა, უვარცხნიდა ბუმბულს—და თან მზრუნველობით არიგებდა:

—დღეს, შვილო, შესაძლებელია უკანასკნელად ვხედავდეთ ერთმანეთს, რადგან უკვე დრო დაგიდგა საკუთარი შრომით ცხოვრებისა... ვინ იცის, რომელ კუთხეში მოგიხდეს ყოფნა... და ველარ შემხვდე. ამიტომ გახსოვდეს ჩემი ანდერძი: ყველა ჩვენს მტერთა შორის უმეტესად ერიდე ადამიანს, რადგან ყველაზე დიდი მტერი ფრინველებისა ის არის...

—იგი შეუბრალებელია, მის გულში ჩათესილია მტრობა და შური! ის არ დაერიდება არც შენს სიჭაბუკეს, არც სილამაზესა და ყოველთვის მზად არის მთელი თავისი ღვარძლი გადმოანთხიოს პირადი ბედნიერებისათვის...

ამ სიტყვებთან ერთად მაგრა ჩაიკრა გულში საყვარელი შვილი, რათა უკანასკნელად მოეკლა დედობრივი ჟინი...

—ბუჰ!.. იგრიალა ამ დროს თოფმა და დედა-გვრიტი ხიდან ძირს დაეშვა ფრთხიალით. ჭრილობიდან წითელმა კამკამა სისხლმა გადმოხეთქა... შვილმა-კი მოასწრო გაფრენა...

—„ერიდე... ერიდე!..“ უკანასკნელად გასძახა მომკვდავმა ფრინველმა შვილს და სული განუტევა...

**ვანო საათაშვილი.**

# ქართული სახალხო თეატრის ისტორია

(იხ. „თ. და ც.“ № 24)

90-იან წლებში უბნებში „თეატრის მოწყობის“ სურვილი ისე გაიზარდა, რომ თითქმის ქალაქის ყველა კუთხეში აშკარად თუ ფარულად იმართებოდა წარმოდგენა.



**ძველი სცენის მოყვარენი**

(1894 წ. გადაღებული)

1. მ. ლეგრანი, 2. ნ. გოცირიძე, 3. ა. ბაჯიაშვილი, 4. ი. ივანიძე, 5. შოთაძე, 6. დ. ცხომელიძე, 7. იოს. იმედაშვილი, 8. რ. სალაყაია.

ამ დროს ვანქის უბანში მოქმედებდა სცენის მოყვარეთა ძლიერი ამხანაგობა ი. ივანიძის თაოსნობით (რამდენჯერმე თვით ივანიძის პიესაც ითამაშეს. იოსებ ივანიძე ზოგჯერ ქალის როლებს ასრულებდა). რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა ტერ-ეზნიკას სახლში 1890 წ., ჯვარის მამის ეზოში 1893 წ. ლეგრანის ეზოში მუხრანიანთ ხიდთან 1894 წ. მონაწილეობას იღებდნენ: სოსო ივანიძე, დ. ცხომელიძე, რომანოზ სალაყაია, მანველ ლეგრანი, გიორგი არეშიძე, კალატოზიშვილი, ივანე სულხანოვი, ნიკო გოცირიძე, გ. საამოვი, ალექსანდრე ბაჯიაშვილი, მ. ბაქრაძე და გ. სოზიაშვილი. ამ სცენის მოყვარეებს ესმარებოდა სცენის გაკეთება-

ში ილიკო მუსხელიშვილი, ბოლოს ეს წრეც დაიშალა.

დაახლოებით ამ ხანებში ნიკო გოცირიძე იღებდა მონაწილეობას ქართულ თეატრში, თამაშობდა პატარა როლებს, როგორიც არის როინი, ზაზა „სამშობლოში“, ბოლოს შეიქნა სახალხო თეატრის ერთგულ მუშაკად, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

90-იან წლებში ს-ო სკოლის მოწაფე იოსებ იმედაშვილი (ხაშმელი), რომელიც ხელთნაწერ ჟურნალს „თარს“ სცემდა, შეუდგა პიესების ამხანაგთა შორის გავრცელებას, სოფლად წარმოდგენებში მონაწილეობასა და პირველად ფრანგების ქუჩაში დაიწყო კერძო ოჯახში წარმოსადგენად მომზადება „დაძმის“, „ძუნწის“, „პეპოს“ და სხ. პიესების ნაწყვეტებისა, მაგრამ მალე მიწვეულ იქმნა ავჭალის აუდიტორიის მუშათა წრეში რეჟისორად. ამაზე ქვეით.

სცენის მოყვარეთა სხვა წრემ დაიწყო წარმოდგენების მართვა სოლოლაკში პირველად დადგა „ციმბირელი“, მეორედ „და-ძმა“. წარმოდგენები იმართებოდა თეთრაძის სახლში. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ნინო შავლიევი, დარო (გვარი არ მახსოვს); ბ-ნი: სანდრო და გიგო ხარისჭირაშვილები, ვანო, გრიშა და იოსებ რუსიშვილები, სანდრო სკანდაროვი, საშა თეთრაძე, ტარასი ლომიაძე, ვასო დავიდოვი, გიგო ოძელაშვილი. იმათვე გამართეს ხარფუხში პირველი წარმოდგენა („ბაიყუში“) და რადგანაც ნებართვა არა ჰქონდათ, ვისგანაც ჯერ იყო, წარმოდგენა ჩაუშალეს და სცენის მოყვარეები გრიმებშივე დააპატიმრეს პოლიციაში. ამით შესწყდა ხარფუხსა და სოლოლაკში წარმოდგენები.

(შემდეგი იქნება)

**გიორგი ჯაბაური**

# სახალხო სახლი ჭიათურაში

1911 და 1912 წლებში, სახალხო სახლის აშენება მთავარ საქმედ იყო მიჩნეული შავი ქვის მრეწველთა სიეზდზე და მეტი არ იქმნება ვთქვათ, რომ საბჭოს კრებებზედაც. პირველად დაფაცურდენ, ერთ ერთ კრებაზე რამოდენიმე ათასი მანათიც გადასდეს სახალხო სახლის ასაშენებლად, მაგრამ მრეწველთა სიეზდის და საბჭოს აღფრთოვანება სახალხო სახლის აშენების შესახებ მინელდა. ჭიათურის საზოგადოებას და ნამეტურ მუშებს კი არ შეუძლიათ უსახალხო სახლოდ გაძლება, რადგანაც არავითარი გასართობი არა აქვსთ. არის მხოლოდ ერთად-ერთი თეატრი, რომელიც აშენებულია მთის ძირში, სადაც მზის სხივი ვერა სწვდება. სცენაზე ისეთი სინესტეა, კაცს არ შეუძლია 5-6 საათი გაჩერდეს. და, აი, სწორედ ამ მიზეზით ჩამოშორდენ ჭიათურის სცენ ას საუკეთესო მუშაკნი: გ. ნუცუბიძე, ი. გომელაური, ა. მითაიშვილი, გ. ანთელიძე და მრ. სხ. რომელიმე მათგანი გაჭირვების დროს წელიწადში ერთხელ ან ორჯელ თუ ითამაშებს, ისიც ნათამაშევ პიესაში, რომ რეპეტიციების გავლა არ დასჭირდეს ნესტიან თეატრში. დამსწრე საზოგადოებაც დიდს გაჭირვებას განიცდის დარბაზის სივიწროვით. თეატრს აუარებელი ხალხი აწყდება, რადგანაც, როგორც ვსთქვით იმის მეტი გასართობი არ არსებობს ჭიათურაში; იმ დროს როდესაც 100 და 200 მუშა უნდა ესწრებოდეს, ესწრება მხოლოდ 68 მუშა, რადგანაც მეტი დასაჯდომი ალაგი არ არის ქანდარზე, პარტერში კი დაახლოებით 150-160 კაცი ეტევა და ესეც ჭიათურის ინტელიგენტ-არისტოკრატებს არ ყოფნით, რის გამო ბევრჯერ უკმაყოფილოდ გაბრუნებულა საზოგადოება. ყოველივე ეს ცხად ჰყოფს, რომ ჭიათურაში საჭიროა სახალხო სახლის დაფუძნება. ამიტომ ჭიათურის ჭირისუფალთ მეტის მეტი ენერგიის გამოჩენა სჭირია ამ საქმის მოსაგვარებლად. სახალხო სახლის კითხვა პირველ კითხვად უნდა იქმნეს დასმული და მიღებულიც ცხოვრებაში გასატარებლად, თორემ ცარიელი სიტყვით დარბაზების აშენება არავის ძალ უძს.

**ნ. ჯიხაიშელი**

# წვრილი ამბები

## სამშობლოში

✦ **დრამატურგი ი. გედევანიშვილი** სწერს ახალ პიესას ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

✦ **ქართული თეატრის სეზონი** დაიწყება ი. გედევანიშვილის „მსხვერპლით“.

✦ **სტუდიაზე** 20 აგვისტოს 30-დე ქალი და კაცი გამოცხადდა. მათგან მხოლოდ ორი იცნეს მიღების ღირსად.

✦ **ქუთაისიდან ვ. გუნიამ** დეპეშა მიიღო— სეზონის დაწყება 20 ენკენისთვისთვისაა განზრახული, და მსახიობნი ჯერ ნუ ჩამოხვალთ, ჩამოსვლის დროს გაცნობებთო.

✦ **ქარ. დრამ. საზ. დასში მოწვეულნი არიან** (ანბანთა რიგზე): ქ-ნნი: ს ბეჟანიშვილი, ნ. თოიძე, ა. ლოლუა, ეფ. მესხი, ა. პიერეტა, ა. ქიქოძე, ენ. შოთაძე, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. ალუღიშვილი, ვ. არაბიძე, ზ. გომელაური, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ნ. მამულაიშვილი, მ. სარაული, გ ფრონისპირელი, ა. ყალაბეგიშვილი, ა. შანშიაშვილი, მ. ჭიაურელი; ხუფლიორი ბ. ბეგლარიძე, სცენარიუსი ზ. ურუშაძე; რეჟისორნი: მ. ქორელი, ალ. წუწუნავა.

✦ **მოძრავმა დასმა** სიღნაღში 17 აგვისტოს

დაასრულა ზაფხულის სეზონი. სულ 21 წარმოდგენა გამართა.

◆ **კომპოზიტორი ე. ფოცხვერაშვილი** გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა. როგორც შევიტყეთ, ბ-ნი ფოცხვერაშვილი აპირებს კონცერტის გამართვას; სხვათა შორის შესრულებულ იქნება მისი ახალი ნაწარმოები „მუმლი და მუხა“ ორკესტრით და ხოროთი.

◆ **ავლაბრის სახალხო წარმოდგენების** მმართველმა წრემ დასი შეადგინა და რეჟისორიც (ი. ივანიძე) მოიწვია. სეზონის დაწყებას ენკენისთვეში აპირებს.

◆ **სიღნაღიდან ქართველი მსახიობნი** თბილის დაბრუნდნენ.

◆ **მსახიობი კ. მაჭარაშვილი** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

◆ **ჭიათურის თეატრის სეზონი** დაიწყება 15 ენკენისთვეს. დაიდგმის ი. გედევანიშვილის „ოჯახი“ და ი. გომართლის „იასონის ოინები„. თეატრის შეკეთებას შეუდგნენ; რეპერტუარი განახლებულია.

◆ **დ. სურამში სეირნობა-წარმოდგენა** გამართა 16 ივლისს დ. სურამის ქარ. დრ. საზ-ის ფონდის გასაძლიერებლად. ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალი იყო 158 მ. 9 კ. გასავალი 105 მ. 23 კ. წმინდა დარჩა 52 მან. 16 კ.

### რუსთა შორის

◆ **დაიწვა ნოვოჩერკასკის თეატრი.** ცეცხლმა შთანთქა დეკორაციები, წიგნთსაცავი, ტანისამოსები.

◆ **კ. დუმჩევის თავის-მკვლელობის** ცნობა ტყუილი გამოდგა. დუმჩევი ჰფიქრობს, დაჭრილ მეომართა ოჯახთა სასარგებლოდ ამ შემოდგომაზე კონცერტები გამართოს.

◆ **კ. ს. სტანისლავსკის,** სამხატვრო თეატრის სულის ჩამდგმელს, რომელიც ომის გამოცხადებამდე გერმანიაში იყო, სამშობლოში დაბრუნების დროს ისეთი მძიმე შთაბეჭდილება განუცდია (შეურაცხყოფა მიუყენებიათ), რომ ავად გამხდარა და ჯერაც ვერ გამორკვეულა.

◆ **სამხატვრო თეატრის მსახიობთა** უმეტესობა გერმანიაში მოჰყვა და, როგორც ისმის, ბევრი მათგანი დაუტუსაღებიათ, რის გამოც სეზონის საქმე შეფერხდა, მაგრამ ნემიროვიჩ-დანჩენკოს განუცხადებია სეზონი მაინც გვექნებაო.

◆ **ომიანობის გამო** ზოგიერთი სათეატრო ჟურნალ-გაზეთი დაიხურა.

◆ **საიმპერატორო თეატრის რეჟისორმა** ნ. ი. პაპოვმა უსაყვედურა იმ მსახიობთ, რომელთაც სთქვეს ომიანობის დროს სირცხვილსა ვგრძნობთ, რომ მხოლოდ თეატრის მსახურნი ვართო. პაპოვმა სასტიკად დაჰგმო იგინი.ასეთ მოაზრეთ თეატრის დიადი მნიშვნელობა შეგნებული არა ჰქონიათ, ხელოვანნი არა ყოფილან და არცა სცოდნიათ, რომ თეატრი სწორედ ასეთ დროს არის საჭიროო. რაც შეეხება მოქალაქეობრიობას, მსახიობისათვის ეს არა ომიანობის დროსაც სავალდებულოაო.

◆ **თ. ი. შალიაპინის დაკარგვის გამო** საიმპერატორო თეატრების დირექციამ მიმართა უცხო სახელმწიფოთ, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომთა მფარველობა იკისრეს, სად იმყოფება შალიაპინიო, რომლის დატყვევებაზედაც ხმა გავრცელდა. უკანასკნელი ცნობით—შალიაპინი უშიშარ ადგილას არის.

**გამოჩენილი მომღერალი** ლ. სობინოვი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

◆ **ომიანობის მიუხედავად** რუსეთში თეატრები ჩვეულებრივ იმოქმედებენ. ზოგიერთ თეატრის მსახიობნი დათანხმდენ ჯამაგირის ნახევარი მიიღონ.

◆ **კაბარე იმართება ყოველ საღამობით** მოსკოვში დატყვევებულ გერმანიისა და ავსტრიის ქვეშევრდომთაგან, რომელნიც ომიანობის გამო დატყვევებულ იქმნენ პრუტიცკის ყაზარმებში. მათ შორის აღმოჩენილა მრავალი საოპერო, შანტანისა და ცირკის მსახიობი. შემოსავალი „წითელი ჯვარის“ სასარგებლოდ გადაიდება.

◆ **ომის საჭიროებისათვის** რუსეთის კერძო და საიმპ. თეატრთა მსახიობებმა ფონდი შეადგინეს თვისი ჯამაგირებიდან უწყებულ ნაწილის გადადებით.

### უცხოთა შორის

◆ **გერმანიის მართებლობამ** მოსთხოვა ბერლინის სამეფო თეატრში საგასტროლოდ მიწვეულ რუს მსახიობთ, ერთი დღე-ღამის განმავლობაში გერმანიის საზღვრებს გასცლოდენ.

### ქალთა შორის.

◆ **ნინო ყიფიანისას თანამოაზრებით** განუძრა-ხავს სიტყვა-კაზმული თვიური ჟურნალი გამოსცეს.

— **კნ. თამ. ზაქ. თარხან-მოურავისა მოუწოდებს** ქართველ ქალებს—გამოვიჩინოთ ხასიათის სიმტკიცე, მოვალეობისადმი პატივისცემა, ზედმეტიხარჯები შევიმციროთ, და საქართველოდან ომში გაწ. დროებით დაობლებულ დედებს, ცოლებსა და შვილებს გაჭირვებაში მივხედოთ—ნივთიერად და გარჯით დავეხმაროთო. ამ მიზნით საჭიროდ მიაჩნია ყველა სამამასახლისოში ქალთა კომიტეტების დაფუძნება, რომ გაჭირვებულთა ნამდვილი საჭიროება გამოიკვლიონ და დროით აცნობონ, სადაც ჯერ არს. დახმარების აღმოსაჩენად თვისი მხრით კნ. თ. ზ. თ-სა, პირადი შრომის გარდა, ამ საქმეს თვიურად ხუთ მან. სწირავს.

◆ **გარდაიცვალა ა. ნ. ესიპოვისა,** პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორი, რუსთა უნიჭიერესი მუსიკის მასწავლებელი ქალი.

◆ **რუსთა გამოჩენილი საოპერო მსახიობქალი** ფელია ლიტვინი პარიზში კონცერტებს ჰმართავს რუს-ფრანგთა დაჭრილების სასარგებლოდ.

### წერილი რედაქციის მიმართ

**ბ-ნო რ-რო!** ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ ჟურნალის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ მსახიობ ბ-ონ იოსებ ივანიძეს, რომელმაც საგარეჯოში ყოფნის დროს ჩვენს ბიბლიოთეკას შემოსწირა 3 მან.

საგარეჯოს ბიბლიოთეკის მზრუნველი

**ქეთო ბედიევისა**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# ახალი კლუბი

საზაფხ. შენობა ტელეფ. — 7-95

| | |
|---|---|
| დღეს — კვირას 24 აგვისტოს | **საზავშვო საღამო** და **სინემატოგრაფი**<br>დასაწყისი ნაშუადღევის 5 ს. დასაწყისი საღ. 9 ს. |
| ორშაბათს 25 აგვისტოს | ბენეფისი **ი. პ. სარაჯიშვილისა** კონცერტი სიმფ. ორკ. ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით |
| სამშაბათს 26 აგვისტოს | **საოჯახო საღამო** |
| ოთხშაბათს 27 აგვისტოს | **კონცერტი ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით |
| ხუთშაბათს 28 აგვისტოს | **ქართული წარმოდგენა.** |
| პარასკევს 29 აგვისტოს | **სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკისა.** |
| შაბათს 30 აგვისტოს | **ბენეფისი ი. პ. ფალიაშვილისა კონცერტი** |
| კვირას 31 აგვისტოს | **საზავშვო საღამო; სინემატოგრაფი.** |

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 — 79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 24 აგვისტოს | **სინემატოგრაფი, მუსიკა, ცეკვა.** |
| ორშაბათს 25 აგვისტოს | **სინემატოგრაფი.** |
| სამშაბათს 26 აგვისტოს | **სინემატოგრაფი, მუსიკა.** |
| ოთხშაბათს 27 აგვისტოს | **საზანდარი.** |
| ხუთშაბათს 28 აგვისტოს | **საზავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.** |
| პარასკევს 29 აგვისტოს | **საზანდარი; ცეკვა.** |
| შაბათს 30 აგვისტოს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |
| კვირას 31 აგვისტოს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები — 25 კ., ქალები — 10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

სტამბა **„სორაპანი“** Типографія **„Сорапань“**



(წ.—24)

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

# სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

## ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(10—4)

**ახალი წიგნი**

## ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—4)

**იმერეთი** ყოველდღიური სალიტ.-საპ. გაზეთი

ახალ რედაქციით და თანამშრომლებით

**გაზეთის ფასი**: წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბაზი, ცალკე ნომერი 5 კაპ.

საზღვარ გარედ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი**: Кутаисъ, ред. газ. „Имерети".

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე**

**შრომა** სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი**: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

„ხორაპანი"-ს გამოცემა

**დაიბეჭდა და გამოვიდა**

## ქართველი მწერლები

**შედგენილი ი. გომელაურის მიერ, წიგ. I**

ფასი 80 კ.